1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 14 (247) 20 მაისი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

239. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44 მუხლის გამოყენების შესახებ.

განყოფილება მეორე

240. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ კ. ნ. ურმანოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

241. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეების ი. დ. სოროკინის და ი. ა. შჩურინის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

242. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. შლიკოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

243. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ვ. ტ. ლაცისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

244. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის დაბად გარდაქმნისა და სოფელ ჯვარზენის სოფელ ჯვართან შეერთების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

245. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. ბახტაძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

246. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. იუდინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

247. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

248. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. ფედულოვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 239 სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44 მუხლის გამოყენების შესახებ

სასამართლო ორგანოებიდან შემოსული შეკითხვების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის 49 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე **ადგენს:**

განმარტებულ იქნეს, რომ იმ პირების მიმართ, რომლებსაც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 6) 35 მუხლით ან 36 მუხლით გათვალისწინებული წესის თანახმად ორი და მეტი დანაშაულის ჩადენის გამო დანიშნული აქვთ სასჯელი, თუ კი ამ დანაშაულთაგან ერთი მაინც გათვალისწინებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44 მუხლის მეოთხე ნაწილის 3 პუნქტით, პირობით-ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება.

უკეთუ პირი სასჯელს იხდის ორი და მეტი დანაშაულის ჩადენის გამო, რომელთაგან ერთისათვის პირობით-ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაქტიურად მოხდილი იქნება დანიშნული სასჯელის ვადის სულ ცოტა ორი მესამედი, ხოლო მეორისათვის — მას შემდეგ, რაც მოხდილი იქნება დანიშნული სასჯელის ვადის სულ ცოტა ნახევარი მაინც, ასეთი პირის მიმართ პირობით-ვადამდე გათავისუფლება ან დანიშნული სასჯელის ვადის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მას შემდეგ, რაც იგი მოიხდის იმ სასჯელის ვადის სულ ცოტა ორ მესამედს მაინც, რომელიც დანიშნული აქვს სასჯელთა ერთობლიობით ან რამდენიმე განაჩენით.

უკეთუ პირი სასჯელს იხდის ორი და მეტი დანაშაულის ჩადენის გამო, მათ შორის იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც მან ჩაიდინა როგორც მანამდე, სანამ თვრამეტი წლის ასაკისა გახდებოდა, ისე მას შემდეგაც, რაც თვრამეტი წლისა გახდა, მისი პირობით-ვადამდე გათავისუფლების საკითხი ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხი გადაწყდება საერთო საფუძველზე, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44 მუხლით გათვალისწინებული წესით. ამასთან 44 მუხლის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ პირისათვის დანიშნული სასჯელის საერთო ვადა, თუმცადა 44 მუხლის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენების პირობებს განსაზღვრავს დანაშაულობანი, ჩადენილნი მას შემდეგ, რაც იგი თვრამეტი წლისა გახდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 მაისი.
№ 2477-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 240 მწერალ კ. ნ. ურმანოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადებიდან სამოცდაათი წლისთან დაკავშირებით მწერალი კონსტანტინე ნიკიფორეს ძე ურმანოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 მაისი.
№ 2478-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 241 სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეების ი. დ. სოროკინის და ი. ა. შჩურინის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

მეთაურის სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის დაჯილდოვდნენ:

მედლით „მამაცობისათვის"

მე-2 თანრიგის ზემდეგი იური დიმიტრის ძე სოროკინი.
უფროსი მატროსი იგორ ალექსანდრეს ძე შჩურინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 მაისი.
№ 2481-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 242 ამხ. ვ. ა. შლიკოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფერადი მეტალურგიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მურმანსკის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვადიმ ალექსანდრეს ძე შლიკოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 8 მაისი.
№ 2483-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 243 მწერალ ვ. ტ. ლაცისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ვილის ტენისის ძე **ლაცისი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 მაისი.
№ 2486-VI.

## განყოფილება მესამე

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

### ყაზახეთის სსრ

### დაქვემდებარების შეცვლა

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით ყამირის მხარის ქალაქი ატბასარი დაექვემდებარა ცელინოგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს.

ამავე ბრძანებულებით ყამირის მხარის ქალაქი კრასნოარმეისკი განეკუთვნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქთა კატეგორიას და შეუერთდა კოქჩეტავის ოლქის კრასნოარმეისკის სასოფლო რაიონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**244 წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის დაბად გარდაქმნისა და სოფელ ჯვარზენის სოფელ ჯვართან შეერთების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს წალენჯიხის რაიონის სოფელი ჯვარზენი სოფელ ჯვართან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

გარდაიქმნას ჯვარის სასოფლო საბჭოს სოფელი ჯვარი დაბად, ხოლო ჯვარის სასოფლო საბჭო — ჯვარის სადაბო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 9 მაისი.

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**245 ამხ. ნ. ვ. ბახტაძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით ქ. გორის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე **ბახტაძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 7 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**246 ამხ. ა. ა. იუდინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

დაბადების სამოცი წლისთან დაკავშირებით თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული სახელმწიფო თეატრის მსახიობი ამხ. ალექსი არკადის ძე **იუდინი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 8 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 247 ამხ. ი. ი. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ილია იოსების ძე მარგველაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 8 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 248 ამხ. კ. ს. ფედულოვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მუსიკის განვითარების საქმეში დამსახურებისა და სასულე ორკესტრის ახალი მუსიკალური რეპერტუარის შექმნისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ორკესტრის უფროსს კონსტანტინე სტეფანეს ძე ფედულოვს მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 8 მაისი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **პ. გელბახიანის** მოხსენება რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში ქალთა შრომის პირობების შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორმა **გ. გამყრელიძემ**, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორმა **გ. შარიქაძემ**, დოცენტებმა **მ. გიგინეიშვილმა** და **შ. კინწურაშვილმა**, პროფესორმა **ი. შენგელიამ**, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზ. კახიანმა**, მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატმა **თ. მოსაშვილმა**, სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ე. დუდჩენკომ** და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.**

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ზოგიერთი საწარმოს და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტის მუშაობა ქალთა შრომის პირობების დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამო.

კომისიის დადგენილებით შემოწმების მასალები გადაეგზავნათ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და რჩევა მიეცათ მათ სისტემატურად შეისწავლონ ქალთა შრომის პირობები, მიიღონ საჭირო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.